

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება N3
2007 წლის 5 იანვარი ქ. თბილისი**

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით
გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ**

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის მე-8 პუნქტის უზრუნველსაყოფად, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის “ვ¹” ქვეპუნქტის, “საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N 37 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “მ” ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ.

მინისტრის მოვალეობის

შემსრულებელი

ა. დიდებულიძე

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
კრედიტებით გაანგარიშების წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემა (შემდგომში – საკრედიტო სისტემა) სტუდენტებზე ორიენტირებული სისტემაა. მისი დანიშნულებაა აკადემიური დატვირთვის ასახვა, რომელიც სტუდენტს ესაჭიროება სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

**მუხლი 2. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა
(სტუდენტის დატვირთვა)**

1. სტუდენტის საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა) მოიცავს:

ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან ლაბორატორიულ მეცადინეობას; (21.09.2009 N 785)

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას;

დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ე) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საკურსო ნაშრომი, მოხსენება კონფერენციაზე, სამეცნიერო წერილი, საპატენტო განაცხადი, სადიპლომო, საბაკალავრო, სამაგისტრო ან დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, ასევე სადოქტორო დისერტაცია) მუშაობას; (21.09.2009 N 785)

ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას. (21.09.2009 N 785)

2. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში – საათებში.

3. საკრედიტო სისტემის შესაბამისად, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის (38-45 სასწავლო კვირა) განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, რაც შეესაბამება სასწავლო საქმიანობის 1500-1800 ასტრონომიულ საათს, ხოლო ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში. (21.09.2009 N 785)

4. ერთი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი და იგივე შინაარსის და მოცულობის მოდული ან საგანი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. (21.09.2009 N 785)

მუხლი 3. კრედიტების განაწილება

1. კრედიტების განაწილება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორცაა მოდული, სასწავლო კურსი, პრაქტიკა, დისერტაცია და სხვ.). სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი). (21.09.2009 N 785)

1¹. ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, გარდა ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტისა, უცხოური ენის კომპონენტი დამდებულად ჩაეთვლება მხოლოდ ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი სერტიფიკატის წარდგენის შემდეგ. (7.03.2012 N 59/6)

2. კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად.

3. კრედიტთა განაწილება სხვადასხვა კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიურ მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას.

4. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით.

მუხლი 4. სტუდენტის მიღწევების შეფასება (21.09.2009 N 785)

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებებს;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, სტუდენტის საბოლოო შეფასების მიზნებისათვის, განსაზღვროს იმ სტუდენტთა დასკვნით გამოცდაზე გასვლის ვალდებულების საკითხი, რომელთაც შუალედური შეფასებებით მიღებული აქვთ ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი შეფასებისათვის საკმარისი ქულათა ჯამი.

7. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

9. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (ტრიმესტრში). დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

9¹. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირ – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით ამ დაწესებულების მიერ განსაზღვრული ერთიანი საგამოცდო ცენტრის მეშვეობით. (14.02.2012 N 43/5)

10. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის შესაძლებელია შეფასების შემდეგი სისტემის გამოყენება:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღმატება;
 დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტის "ა"-ე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

13. ამ მუხლის მე-10 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

14. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შესაძლებელია ამ მუხლის მე-7 ან მე-10 პუნქტით გათვალისწინებული სისტემით.

15. ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე უცხოური ენის კომპონენტის დაძლევა ხდება შემდეგი პირობების დაცვით: (7.03.2012 N 59/6)

ა) ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა წარადგინოს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

ბ) ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური ენა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი სერტიფიკატი:

ტოიფელი (TOEFL PBT)	ტოიფელი (TOEFL IBT)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)
ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

გ) ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხოური ენა, გარდა ინგლისურისა, უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს ქვემოთ მითითებული ერთ-ერთი სერტიფიკატი:

ტოიფელი (TOEFL PBT)	ტოიფელი (TOEFL IBT)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)
ქულათა ოდენობა: არანაკლებ 437 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 41 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 4,0 ქულა	ცოდნის დონე: არანაკლებ PET

დ) ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სერტიფიკატების შესატყვის დონეზე უცხოური ენის ცოდნის დადასტურების მიზნით სტუდენტი უფლებამოსილია ჩააბაროს:

და) სსიპ – გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის სასერტიფიკაციო გამოცდა;

დ.ბ) შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინგლისური ენის სასერტიფიკაციო გამოცდა, რომელსაც ამ საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილება უდასტურდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით;

ე) სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის მიერ ცენტრის სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში სტუდენტს აუნაზღაურებს ცენტრის მიერ ორგანიზებული სასერტიფიკაციო გამოცდის საფასურს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის პროპორციულად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტის მიერ ცენტრის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის საფასურს აანაზღაურებს სრულად, მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 4¹. ამოღებულია (21.09.2009 N 785)

მუხლი 5. გარდამავალი დებულებანი

1. ყველა ლიცენზირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც დანერგილია სხვა სახის საკრედიტო სისტემები 2006/2007 სასწავლო წლისათვის უნდა გადავიდეს ამ წესით განსაზღვრულ საკრედიტო სისტემაზე.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ეს წესი არ გავრცელდეს 2006-2007 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ სტუდენტებზე. საჯარო სამართლის იურიდიულ პირ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, ხოლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს შექმნის შემდეგ –აკადემიურმა საბჭომ, და უნდა გაფორმდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. ამოღებულია (21.09.2009 N 785)

4. დაევალოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისათვის აუცილებელი სტანდარტების შემუშავება ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით არა უგვიანეს 2013 წლის 1 იანვრისა. (7.03.2012 N 59/6)

5. დაევალოს ცენტრს ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის ინგლისური ენის სასერტიფიკაციო გამოცდის ორგანიზება არა უგვიანეს 2015 წლის 1 იანვრისა. (7.03.2012 N 59/6)

6. ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა არ ვრცელდება ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე 2011 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე ჩარიცხულ სტუდენტებზე. (7.03.2012 N 59/6)